საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ოქტომბრის 20. № 25 ტფილისი.

შინაარსი

მშენებლობა.

139. ადგილობრივი საშენი მასალის ფასების დაკლების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

140. 1935 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა.

141. საქართველოს სსრ სანადირო ფაუნის დაცვისა და სანადირო მეურნეობის განვითარების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

142. მეორედ ნათიბი რამის დამზადების და ბადამუშავებისა და ხრალის გამომუშავების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

143. ქალაქებსა და მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბებში ქვაფენილების და ტროტუარების დაგებისა და მოვლა-შენახვის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა.

144. საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

განათლება.

145. დებულება ტფილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

146. პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების დამატების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

147. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

148. სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების 1-ლ და სხვა მუხლებში ცვლილების შეტანის შესახებ.

მშენებლობა

139. დადგენილება ს. კ. ს

44.10

ადგილობრივი საშენი მასალის ფასების დაკლების შესახებ.

„საშენი მასალის საგასაცემო ფასების დაკლების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 14-ის თარიღისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

899 №-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 26 №-ი, მუხ. 210), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნას 1935 წ. ივლისის 1-დან საქართველოს სსრ-ში (აფხაზეთის ასსრ გარდა) ადგილობრივი საშენი მასალის არსებული საგასაცემო ფასები ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთათვის და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების საწარმოთათვის შემდეგი რაოდენობით (საშუალოდ):

არსებული სორტიმენტის (მე-III ხარისხ. და სტანდარტზე დაბალ) აგურზე	10,6%-ით
კირზე	12,6 „
გაჯზე	10 „
ქვასა, ქვიშასა და ხრეშზე	10 „

2. სახურავი კრამიტის წარმოების განვითარების მიზნით პირველი ხარისხის კრამიტის არსებული საგასაცემო ფასები დატოვებულ იქნას უცვლელად: ათას ცალ მარსელის კრამიტზე—180 მან. ჰოფმანის ღუმელებისათვის და 216 მან. მინდვრის ქურებისათვის, ჰოლანდიურ და ქართულ კრამიტზე—124 მან.

3. აგურისა და კრამიტის ღირებულების გადახდის წესის დასამყარებლად მათი თვისების მიხედვით და პროდუქციის გაუმჯობესების სტიმულირების მიზნით შემოღებულ იქნას ამ მასალის ხარისხობითი გაყიდვა—ისე, რომ განსხვავება მე-III ხარისხის აგურის ფასსა და მე-II ხარისხის აგურის ფასს შორის შეადგენდეს 10% და მე-III ხარისხის აგურის ფასსა და I-ლი ხარისხის აგურის ფასს შორის შეადგენდეს 15%, ხოლო მე II ხარისხის კრამიტის ფასი შემცირებულ იქნას 10%-ით და მე-III ხარისხისა—15%-ით I-ლი ხარისხის კრამიტის ფასთან შედარებით (მუხ. 2).

4. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად დაწესებულ იქნას შემდეგი, საწარმოთათვის დიფერენცირებული საგასაცემო ფასები:

აგურისა (ათასი ცალი მე-III ხარისხ.):

ა) ტფილისის საბჭოს ქარხნები (7) . . . . . 61 მან
ბ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმონი (ნოსირი, ტევრი, ღრმა-ღელე) . . . . . 63 მან.
გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მრეწველობის საწარმონი (სამტრედია, ხაშური, გურჯაანი) . . . . . 63 მან.
დ) ქუთაისის ქარხანა (ყოფ. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარი სამმართველო) . . . . . 63 მან.
ე) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მრეწველობის საწარმონი (ლანჩხუთი, ზუგდიდი) . . . . . 65 მან
ვ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მრეწველობის საწარმონი (ფოთი, ბორჯომი) . . . . . 80 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მრეწველობის საწარმონი (მახარაძე, ზესტაფონი) . . . . . 76 მან.
თ) სამხრეთ-ოსეთის საწარმონი (ცხინვალი) . . . . . 80 მან.

შენიშვნა. მე-III ხარისხის აგური უნდა შეესაბამებოდეს საერთო-საკავშირო სტანდარტის მე-II ხარისხის ყველა მოთხოვნას, გარდა კუმშვის დროებითი წინაღობისა.

კირისა (ტონაზე)

ა) მოწამეთის ქარხანა (საქ. სსრ ადგილ მრეწვ. სახ. კ-ტისა). . 46 მან.
ბ) სურამის ქარხანა (საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კ-ტისა) . . 40 მან.
გ) ძეგვისა და ივრის ქარხნები (ტფ. საქ. საბჭოსი). . . . . 45 მან.
დ) ხორაგოულის ქარხანა (ხორაგოულის სარ. აღმ. კ-ტისა) . . 48 მან.
ე) სამტრედიის ქარხანა (სამტრედიის სარ. აღმ. კ-ტისა) . . . 45 მან.
ვ) სენაკის ქარხანა (სენაკის სარ. აღმ. კ-ტისა) . . . . . 40 მან.
ზ) ხონის და ქუთაისის ქარხნები. . . . . 50 მან.
თ) მსხლების ქარხანა (სამხრეთ-ოსეთში) . . . . . 90 მან.

გაჯის—ყველა საწარმოსათვის. . . . . 27 მან. ტონაზე

ქვა, ქვიშა და ხრეში—ყველა საწარმოსათვის. . . . . 4 მან. და 50 კაპ. კბ. მეტ.

5. ვანაიდან საშენი მასალის მრეწველობაში დიდი განსხვავებაა ფაქტიური ღირებულებასა და საგასაცემო ფასებს შორის, ნება დაერთვას ამ მრეწველობის საწარმოთ მოახდინონ ფართო ბაზარზე თავიანთი პროდუქციის რეალიზაცია შემდეგი რაოდენობით და შემდეგ ფასად:

აგურის საწარმოთა ხაზით:

ა) ტფილისისა და ქუთაისის აგურის ქარხნები (ყოფ. შგდმს) 25 %—125 მან.
ბ) ნოსირის ქარხანა . . . . . 20 %—125 „
გ) ტევრის ქარხანა. . . . . 20 %—140 „
დ) ღრმა-ღელის ქარხანა . . . . . 20 %—125 „
ე) ლანჩხუთის და ზუგდიდის ქარხნები . . . . . 30 %—170 „
ვ) სამტრედიის და გურჯაანის ქარხნები. . . . . 25 %—150 „
ზ) ხაშურის ქარხანა . . . . . 25 %—140 „
თ) მახარაძის ქარხანა. . . . . 30 %—180 „
ი) ცხინვალის ქარხანა. . . . . 30 %—200 „
კ) ზესტაფონის, ფოთის, ბორჯომის და ხონის ქარხნები 25 %—160 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირის საწარმოთა ხაზით:

ა) მოწამეთის და სურამის ქარხნები (ადგილ. მრეწვ. სახ. კ-ტისა) . . . . . 15%— 90 მან.
ბ) ძეგვისა და ივრის ქარხნები (ტფილისის საქ. საბჭოსი) 25%— 90 „
გ) ხორაგოულის, სამტრედიისა და ქუთაისის ქარხნები . 25%— 90 „
დ) სენაკის ქარხანა . . . . . 25%— 80 „
ე) ხონის და ზუგდიდის ქარხნები . . . . . 25%—100 „
ვ) მსხლების ქარხანა (სამხრეთ-ოსეთში). . . . . 30%—200 „

6. ვინაიდან საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა პროდუქციის თვითღირებულება მეტისმეტად დიდია, რაც ამ საწარმოთა ტექნიკური ბაზის პრიმიტიობით აიხსნება და აგრეთვე იმით, რომ ისინი მარტოოდენ შეშით მუშაობენ, აღნიშნულ საწარმოთა აგურისა, კრამიტისა, კირისა და გაჯის არსებული საგასაცემო ფასები დატოვებულ იქნას უცვლელად.

7. მიენდოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დააწესონ საგასაცემო ფასები მათ ტერიტორიაზე მოქმედ სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა პროდუქციის იმ ნაწილისათვის, რაც, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, დანიშნულია კომერციული გაყიდვისათვის ფართო ბაზარზე.

8. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წვრილ სამინდვრე ქურების პროდუქციაზე (თელავი, ყარაია, ლუქსემბურგი, ტყიბული, ბაღდადი, ვანი, ჩხარი, ცაგერი, ამბროლაური, აბაშა, ხონი, მარტვილი, წალენჯიხი, ჩოხატაური) დაწესებულ იქნას შემდეგი ფასები:

აგური . . . . . 84 მან. ათას ცალზე
კირი . . . . . 60 მან. ტონაზე

ამ საწარმოთა პროდუქციის თვითღირებულების მეტისმეტი სიდიდის გამო, ნება დაერთვას აღნიშნულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გაყიდონ კომერციულ ფასად ფართო მოხმარებისათვის პროდუქციის 40 პროცენტი, და მიენდოს მათ დაამყარონ ამ პროდუქციის საგასაცემო კომერციული ფასები ფაქტიური თვითღირებულებისა და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის პირობების მიხედვით.

9. იმ დამხმარე საწარმოთა პროდუქციაზე, რომელთაც ამ პროდუქციის ნაწილი გააქვთ ფართო ბაზარზე ან ზედმეტ პროდუქციას აძლევენ საგეგმო საშენებლებს, გავრცელებულ იქნას ის საგეგმო და კომერციული ფასები, რაც ამა დადგენილებით დაწესებულია მათი მოქმედების რაიონში მდებარე საწარმოთათვის.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეისწავლოს ერთი დეკადის ვადაზე ადგილობრივი საშენი მასალის თვითღირებულებისა და საგასაცემო ფასებრს მდგომარეობა აფხაზეთის ასსრ-ში და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ამ ფასების შემცირების პროექტი.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ტფილისის საქალაქო საბჭოს—მოაწყონ აგურის საწარმოებში (ლრმა-ღელის, ტევრისა და ნოსირის ქარხნები და ტფილისის საქალაქო საბჭოს ქარხნები) შინასაქარხნო ტექნიკური კონტროლი აგურის წარმოების ყველა ციკლის მიხედვით.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შემოიღონ დაჯილდოების პრემიალური სისტემა ადგილობრივი საშენი მასალის საწარმოთა დირექტორებისა, ტექნიკური ხელმძღვანელებისა და ოსტატებისათვის პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და ხარისხის გაუმჯობესების დავალებათა გადამეტებით შესრულებისათვის.

13. საკედლე მასალის გაიაფების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებათა პროექტი აგურის ცალკეული ქარხნების ღრუ-აგურის წარმოებაზე გადაყვანისათვის და აგრეთვე მშრალად წნეხვის მეთოდის გამოყენებისათვის.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ივნისის 23. № 817.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

140. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ.

„1935 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივნისის 23-ს დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივლისის 16-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განგრძობილ იქნას 1935 წლისთვის მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 25-ის დადგენილებისა „1934 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 22 №-ი, მუხ. 190).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამასთანავე:

ა) იქ, სადაც აღნიშნულ დადგენილებაში მინიშნებაა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 15-ის დადგენილებაზე „1934 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ (10, 16, 17, 25 მუხლები), მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ის ცვლილებანი, რაც შეტანილია ამ დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 139; 25 №-ი, მუხ, 196; 31 №-ი, მუხ. 236; 33 №-ი, მუხ. 247) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივლისის 17-ის დადგენილებით 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ გამოცემულ დადგენილებასთან დაკავშირებით; (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 23, მუხ. 133).

ბ) დადგენილების სათაურში და 3, 7, 12, 13, 16, 17, 18 და 24 მუხლებში 1934 წელი შეიცვალოს 1935 წლით;

გ) მე-7 მუხლში 1933 წელი შეიცვალოს 1934 წლით;

დ) დადგენილების შესავალი ნაწილი, უკანასკნელი წინადადების გარდა, და მე-10 მუხლის „დ“ პუნქტი ამოშლილ იქნას.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 1. № 982.
ტფილისი.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

ეროვ. 1936-21-143

141. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სანადირო ფაუნის დაცვისა და სანადირო მეურნეობის განვითარების შესახებ.

სასარგებლო ძვირფასი ადგილობრივი ნადირ-ფრინველის დაცვისა და გამრავლებისათვის პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველგან ხოხობზე ნადირობა ვადით 1936 წ. ნოემბრის 1-მდე და თურაჯზე ნადირობა—1940 წ. ნოემბრის 1-მდე.

2. აიკრძალოს გნოლზე, კაკაბზე (მთის ქათამა) და კურდღელზე ნადირობა ტფილისის რაიონში, 20-კილომეტრიანი რადიუსის ფართობზე შემდეგი საზღვრებით:

ჩრდილოეთით—საგურამოს ქედის წყალგასაყარი, მიმართულებით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ტფილის-თიანეთის გზატკეცილის შესაყარამდე სოფ. ლელუბანის ახლო; იქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ „დიდი-მუხიანის“ და „ქურციკაანთჩრდილას“ მთებს შორის, მიმართულებით ანტონის მონასტრისა-

კენ და შემდეგ მდინ. ლოჭინის მარჯვენა ნაპირით სამხრეთისაკენ მდინ. ლოჭინის და მდინ. მტკვრის შესართავამდე სოფ. ფარაჯალართან; შემდეგ მდინ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ზევზევ აყოლით სოლანლუღის სარკინისგზო ხიდამდე მტკვარზე; და მერე სამხრეთ-დასავლეთისაკენ ამიერკავკასიის რკინის გზის სამხრეთ შტოს ხაზით კუმისის ტბის შემოერთებით და სარკინისგზო სადგურ სანდარის გადაჭრით სარკინისგზო ლიანდაგისა და მდინ. ალგეთის შესაყარამდე; ამ ადგილიდან მდინ. ალგეთის მარცხენა ნაპირით სოფ- დიდ-ენაგეთამდე, საიდანაც საზღვარი გადასჭრის ტფილის-ალბულახის (ყოფ. თეთრი წყარო) გზატკეცილს „ცოგიხევის“ ღელეში, ავა პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ სოფ. პრიუტის მაღლობამდე „საყარაულოს“ მთის მარცხნივ; შემდეგ საზღვარი მიდის მანგლისის გზატკეცილისაკენ სოფ. გოლოვანის განედამდე მდინ. ვერისა და მდინ. დიღმის წყალსაყარი ქედით „საწყენელას“ ქედამდე და შემდეგ „სათოვლეს“ და „დიდი“ მთებით კარსანის სამაგნიტო ობსერვატორიის შენობამდე; აქედან ჩამავალი გზით საზღვარი ეშვება მდინ. მტკვრისკენ „ზაჰესის“ საგუბრამდე და მიდის საგუბარზე „მწირის“ მთის მიმართულებით, შემოიერთებს მდინ. არაგვის მარცხენა ნაპირზე სოფ. წიწამურს ჩრდილოეთით და კვლავ ავა საგურამოს ქედზე.

3. აიკრძალოს ყველგან საქართველოს სსრ-ში შემდეგი სახის მოკლული ნადირ-ფრინველის გაყიდვა: ჯიხვისა, არჩვისა, შვლისა, ჯეირნისა, ხოხობისა, გნოლისა და კაკბისა (მთის ქათამა).

4. ნებადართულ იქნას სხვა ნადირ-ფრინველის გაყიდვა, რაც მოხსენებული არ არის ამა დადგენილების მე-3 მუხლში, მარტოოდენ სამონადირო-კოოპერატიული ორგანიზაციების მეშვეობით.

5. ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული ნადირ-ფრინველის გაყიდვაში დამნაშავე პირნი მიცემულ უნდა იქნან პასუხისგებაში სასამართლო წესით, როგორც ბრაკონერობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხ.).

6. ჩლიქიანებზე კანონით დადგენილ ვადებში ნადირობის დროს: ა) განისაზღვროს ნადირის მოპოება თვითეულ მონადირეზე ნადირობის მთელ სეზონში სამ-სამი ცალი ჯიხვით, ნიამორით, არჩვით, ჯეირნით და შვლით და ბ) ამა მუხლში აღნიშნულ ნადირზე ნადირობის ვადა განისაზღვროს სექტემბრის 1-დან დეკემბრის 1-მდე.

7. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს—გაშალონ მკვეთრი ბრძოლა ნადირობის ვადებისა და წესების დამრღვევთა (ბრაკონერთა) წინააღმდეგ სასოფლო საბჭოებში სპეციალური ბრიგადებისა და რწმუნებულების გამოყოფით, რომელთაც დაევალოს პასუხისმგებლობა ბრაკონერობის აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებათა ჩატარებისათვის.

8. მიენდოს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დააკისროს სარაიონო რწმუნებულებს—გაუწიონ დახმარე-

ბა ბრაკონერობასთან ბრძოლის შემმოწმებელ ბრიგადებს და რწმუნებულებს, განსაკუთრებით რკინის გზის ხაზებზე.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ჩაატაროს თავის სისტემაში (საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი და სხვ.) ახსნა-განმარტება, რომ საჭიროა სანადირო ფაუნის დაცვა და ნადირობის წესების და ვადების შესრულება; აგრეთვე გამოყოს საბჭოთა მეურნეობებსა და ღონიერ კოლექტიურ მეურნეობებში სანადირო მეურნეობის დამხმარე უჯრედები, ხოლო დანარჩენ კოლექტიურ მეურნეობებში რწმუნებულები, რომელთაც დაევალოს სოფლის მეურნეობის ინავრებთან და მავნებლებთან ბრძოლა.

10. მიენდოს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მეთაურს—გამოსცეს სათანადო ბრძანება სამხედრო-სანადირო საზოგადოების ხაზით, მიუთითოს-რა მას, რომ საჭიროა მოეწყოს ანალოგიური კონტროლი წესიერი ნადირობისათვის.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს მონადირეთა კავშირს „მონკავშირს“ და სასპორტო საზოგადოება „დინამოს“—იხმარონ მკვეთრად ღონისძიებანი ბრაკონერობის აღმოსაფხვრელად სპეციალური ბრიგადებისა და რწმუნებულების გამოყოფით მონადირე პირთა სისტემატური შემოწმებისათვის და იმ პირთა სამართალში მიცემისათვის, ვინც არღვევს ნადირობის წესებს და ვადებს; აგრეთვე ჩაატარონ თავიანთ წევრთა შორის კულტმასური მუშაობა და უზრუნველყონ ადგილებზე ინსტრუქტაჟი სანადირო მეურნეობის საკითხების სფეროში.

12. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს— გამოსცენ სათანადო დადგენილებანი სანადირო ფაუნის დაცვისა და ბრაკონერობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 2. № 1001.

ტფილისი.

ვაჭრობა. მოგზარაბება.

142. დადგენილება ს.კ.ს.

მეორედ ნათიბი რამის დამზადების და გადამუშავებისა და ხრალის გამომუშავების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას რაიონობითი გეგმა და ვადები მეორედ ნათიბი რამის დამზადებისა 217,8 ჰექტარ ფაქტიურ ფართობზე 757,3 ტონა მწვანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღეროების რაოდენობით; აქედან: მწვანე ღეროებად ჩასაბარებელი 669,4 ტონა და გამხმარ ღეროებად ჩასაბარებელი 8,79 ტონა, მწვანე მასაზე გადატანით— 87,9 ტონა (იხ. დანართი 1).

2. განისაზღვროს მე-III კვარტალში რამის ხრალისა და ძენძის გამომუშავებისა და ღეროების გადამუშავების გეგმა 18.926 კილოგრამის რაოდენობით; ამ რიცხვში: მეორედ ნათიბი მწვანე დეკორტიკაციისა—13.388 კილოგრამი ხრალი და გამხმარი დეკორტიკაციისა—5.538 კილოგრამი ძენძი; აქედან პირველი ნათიბისა—3.780 კილოგრამი და მეორე ნათიბისა—1.758 კილოგრამი.

„საქართველოს რამის" სრულიად საკავშირო ტრესტის მიერ წარმოდგენილი, რამის ღეროების გადამუშავების რაოდენობითი გეგმა და ვადები დამტკიცებულ იქნას (იხ. დანართი 2).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ პირველი თიბვისა და გადამუშავების დროს მთელმა რიგმა სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა არ მიაქცია საკმარისი ყურადღება მუშებით მიმღებ-გადამმუშავებელი პუნქტების დაკომპლექტებისა და აგრეთვე მოჭრილი ღეროების დაუცადებელი მიზიდვის ორგანიზაციის საკითხებს, რამაც გამოიწვია თიბვისა და გადამუშავებისათვის დადგენილი ვადების გადაცდენა.

4. მეორედ ნათიბი რამის მოსავლის აღება-გადამუშავების კამპანიის უკეთესად ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ავალებს აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სენაკის, აბაშის, ხობის, ზუგდიდისა, გალისა, სამტრედიისა, ხონისა, ქუთაისისა, ვანისა და სიღნაღის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად, არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 30-ისა, განიხილონ, დაამტკიცონ და მიაწვდინონ თვითეულ კოლექტიურ მეურნეობამდე რამის მოსავლის აღებისა და მიმღებ პუნქტებში რამის ღეროების მიზიდვის სამუშაო გეგმა, რაც სავსებით უნდა შეესაბამებოდეს პლანტაციების ფაქტიურ მდგომარეობას და გამომმუშავებელი მანქანების დღედაღამის საწარმოო ძალოვნებას, მწვანე დეკორტიკაციისათვის 60 სანტიმეტრზე მეტი სიგრძისა და გამხმარი დეკორტიკაციისათვის—30-დან 60 სანტიმეტრამდე;

ბ) „საქართველოს რამის" სრულიად საკავშირო ტრესტის სარაიონო კონტორებთან ერთად დააკომპლექტონ საჭირო კადრებით (მემანქანე, ბრიგადირი და მუშა) რამის მიმღებ-გადამმუშავებელი პუნქტები სამუშაოზე მათი მიმაგრებით მთლად გადამუშავების სეზონის განმავლობაში.

საქ სსრ ს.კ.ს ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. აგვისტოს 2. № 988.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდ. 142

მეორედ ნათიბი რამის ღეროების მოსავლის აღებისა და დამზადების გეგმა.

რაიონები და სექტორები	ასაღები მოსავლის ფართობები (ჰექტარობით)	ღეროების საერთო მოსავალი ტონობით	აქედან			რამის მოსავლის აღების და პუნქტებში ჩაბარების ვადები		დამზად. პუნქტებში გამხმარი დეკორტიკაციისათვის გამხმარი ღეროების ჩაბარების ვადები.
			მწვანე მასა	გახმობის შემდეგ გადატანილია				
				მწვანე მასს.	გამხმარ ღეროებზე	მწვანე ღეროებად	გამხმარ ღეროებად	
1. სიღნაღის რაიონი.								
საბჭ. მეურნ. „ალაზანი“	6,2	34,0	17,0	17,0	0,7	1—10/III	20/VIII	20/VIII
2. ქუთაისის რაიონი								
კოლექტ. მეურნეობანი	7,7	21,0	18,9	2,1	0,21	5—15/VIII	22—25/VIII	26/VIII
3. ვანის რაიონი								
კოლექტ. მეურნეობანი	3,5	13,8	12,3	1,5	0,15	5—10/VIII	20/VIII	22/VIII
4. ხონის რაიონი								
კოლექტ. მეურნეობანი	11,4	28,5	25,7	2,8	0,28	5—15/VIII	22—25/VIII	27/VIII
5. სამტრედიის რაიონი								
კოლექტ. მეურნეობანი	13,1	35,8	38,1	3,7	0,37	5—15/VIII	22—25/VIII	22—25/VIII
6. აბაშის რაიონი								
კოლექტ. მეურნეობანი	54,3	177,0	159,8	17,2	1,72	5—18/VIII	20—25/VIII	26—27/VIII

7. მ. ცხაკაიას რაიონი								
ა) კოლექტ. მეურნეობანი	33,6	160,8	145,0	15,8	1,58	5—15/VIII	18—25/VIII	25—26/VIII
ბ) საბჭ. მეურნ. „ტეხურა“ . . .	12,9	30,0	27,0	3,0	0,30	5—10/VIII	18/VIII	18/VIII
გ) ნოსირის საცდ. სადგ. და ტექ-მი	13,0	58,0	52,6	5,4	0,54	1—10/VIII	18/VIII	18/VIII
ს ულ	**59,5**	**248,8**	**224,6**	**24,2**	**2,42**	**1—15/VIII**	**18—25/VIII**	**18—26/VIII**
8. ხობის რაიონი								
ა) კოლექტ. მეურნეობანი . . .	8,2	19,4	17,0	2,4	0,24	5—8/VIII	18—20/VIII	20/VIII
ბ) საბჭ. მეურნ. „ქვალონი“ . .	6,0	23,0	21,0	2,0	0,20	9—13/VIII	18/VIII	18/VIII
ს ულ	**14,2**	**42,4**	**38,0**	**4,4**	**0,44**	**5—13/VIII**	**18—20/VIII**	**18—20/VIII**
9. ზუგდიდის რაიონი								
კოლექტ. მეურნეობანი	34,5	106,0	96,0	10,0	1,00	5—15/VIII	20—25/VIII	26—28/VIII
10. გალის რაიონი								
კოლექტ. მეურნეობანი	13,4	50,0	45,0	5,0	0,50	5—12/VIII	20—22/VIII	24—25/VIII
მთლად რესპუბლიკაში	**217,8**	**757,3**	**669,4**	**87,9**	**8,79**	**1—18/VIII**	**18—25/VIII**	
აქედან:								
ა) კოლექტ. მეურნეობანი	179,7	612,3	551,8	60,5	6,05			
ბ) ტრუტის საბჭ. მეურნ, . . .	25,7	87,0	65,0	22,0	2,20			
გ) ნოსირის საცდ. სადგ. და ტექ-მი	13,0	58,0	52,6	5,4	0,54			

ფონდ. 142

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 2.

მე-2 ნათიბი რამის მწვანე ღეროებიდან და 1-ლი და მე-2 ნათიბი რამის გამხმარი ღეროებიდან ხრალისა და ძენძის გამომუშავების გეგმა.

რაიონები და პუნქტები	მწვანე დეკორტიკაციის მე-2 ნათიბი მწვანე ღეროების რაოდენობა ტონობით.	ხრალის გამოსავლის %	მწვანე დეკორტიკაციიდამდე, გამხმარი ხრალის რაოდ. კილოგრამებ.	გამხმარი დეკორტიკაციის გამხმარი ღეროების რაოდენობა ტონობით.			ძენძის გამოსავლის %	სულ ძენძი.	სულ ხრალი და ძენძი	გადამუშავების ვადები		
				1 ნათიბი	2 ნათიბი	სულ				მწვანე ღეროების	გამხმარი ღეროებისა 1 ნათიბი	2 ნათიბი
1. სიღნაღის რ. ალაზნის პუნქტი . .	17,00	2%	340,0	1,00	1,70	2,70	20%	540,0	880,0	1—10/VIII	12—15/8	20—22/8
2. ქუთაისის რ. პატრიკეთის პ. . .	18,90	2%	378,0	—	—	—	—	—	378,0	5—15/8	—	—
3. ვანის რაიონი ვანის პ.	12,30	2%	246,0	—	—	—	—	—	246,0	5—10/8	—	—
4. სამტრედიის რ. კულაშის პ	32,10	2%	642,0	—	1,01	1,01	20%	202, კგ	844,0	5—12/8	—	10—12/IX
5. ხონის რაიონი კონტუათის პ . . .	25,70	2%	514,0	—	—	—	—	—	514,0	5—15/8	—	—
6. აბაშის რაიონი												
1. მახარაძის პ. . .	13,50	2%	270,0	—	—	—	—	—	270,0	5—7/8	—	—
2. სამიქაოს „	94,00	2%	1880,0	—	—	—	—	—	1880,0	5—18/8	—	—
3. ონტოპის „	16,30	2%	326,0	—	—	—	—	—	326,1	5—8/8	—	—
4. მარანის „	36,00	2%	720,0	—	—	—	—	—	720,0	5—11/8	—	—
სულ	159,80	2%	3196,0	—	—	—	—	—	3196,0	5—18/8	—	—
7. მ. ცხაკაიას რ.												
1. ახ.-სენაკის პ. . .	13,20	2%	264,0	17,9	6,8	23,98	20%	4796,0	5060 კ.	5—8/8	25/VIII	—
2. ძველი სენაკის პ.	69,80	2%	1986,0	—	—	—	—	—	1386	5—15/8	15/VIII	10—10/IX
3. ნაქალაქევის პ. .	19,00	2%	380,0	—	—	—	—	—	380	5—9/8	—	—
4. ცივის პ.	33,30	2%	666,0	—	—	—	—	—	666	5—10/8	—	—
5. ტეხურის პ . . .	10,00	2%	200,0	—	—	—	—	—	200	5—8/8	—	—
6. ნოსირის პ. . . .	79,80	2%	1596,0	—	—	—	—	—	1596	1—10/8	—	—
სულ	224,60	2%	4492,0	17,9	6,8	23,98	20%	4796,0	9288 კლგ.	1—15/8	25/VII-5/VI	10—15/IX
8. ხობის რაიონი ქვალონის პ. . . .	38,00	2%	760,0	—	—	—	—	—	760,0	5—13/8	—	—
9. ზუგდიდის რ.												
1. რაკის პ.	50,00	2%	1000,0	—	—	—	—	—	1000,0	5—15/8	—	—
2. კაკერის პ. . . .	46,00	2%	920,0	—	—	—	—	—	920,0	5—14/8	—	—
სულ	96,00	2%	1920,0	—	—	—	—	—	1920,0	5—15/8	—	—
10. გალის რაიონი												
1. ოთობაია 1-ლი .	36,00	2%	720,0	—	—	—	—	—	720,0	5—12/8	—	—
2. ოთობაია მე-2 .	9,00	2%	180,0	—	—	—	—	—	180,0	5—12/8	—	—
სულ . . .	45,00	2%	900,0	—	—	—	—	—	900,0	5—12/8	—	—
სულ რესპუბლიკაში	669,40	2%	13,388,0	18,90	8,79	27,69	20%	5538,0	18926	1—18/8	12/7-15/8	20/8-15/IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

143. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ეროვ. 1937-2-15

ქალაქებსა და მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბებში ქვაფენილების და ტროტუარების დაგებისა და მოვლა-შენახვის შესახებ.

ქალაქებსა და მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბებში ქვაფენილების და ტროტუარების დაგებისა და მოვლა-შენახვის გაუმჯობესებისა და ამასთან დაკავშირებულ ხარჯებში სახლმფლობელობათა სახსრის მონაწილეობის პრაქტიკის მოწესრიგების მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქვაფენილების მშენებლობას და რემონტს ქალაქებში და მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბებში აწარმოებენ კომუნალური მეურნეობის ორგანოები ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარით და ხარჯებში მონაწილეობას მიიღებენენ:

ა) დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ, უკეთუ სწარმოებს იმ ნაკვეთების და შენობების წინ მდებარე ქვაფენილების მშენებლობა ან რემონტი, რომელ ნაკვეთებსაც და შენობებსაც აღნიშნული დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები იყენებენ საკუთრების, უვადო სარგებლობის, აღნაგობის, მიმაგრების და იჯარის უფლებით სამრეწველო, სავაჭრო, სასაწყობო, საკანცელარიო და საბინაო მიზნით,—არა უმეტეს, ვიდრე ამ სამუშაოთა ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით;

ბ) სახლის ტრესტებს, საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს და აგრეთვე მუშებს, მოსამსახურეებს და სახლის მეპატრონე სხვა მშრომელებს, უკეთუ სწარმოებს მათ მფლობელობათა წინ მდებარე ქვაფენილების მშენებლობა ან რემონტი,—არა უმეტეს 10 კაპიკისა საცხოვრებელი ფართობის 1 კვადრ. მეტრზე წელიწადში.

2. ის დაწესებულებანი, საწარმონი, ორგანიზაციები და პირნი, რომლებმაც, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვაფენილების მშენებლობისა და რემონტის ხარჯებში,—უკეთუ ისინი ქირაობენ შენობებში ცალკეულ სადგომებს იჯარით ან ქვეიჯარით,—მიიღებენ მონაწილეობას ქვაფენილების მშენებლობის და რემონტის ხარჯებში მათ მიერ დაჭერილი სასარგებლო ფართობის პროპორციულად.

3. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ (ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულთა გამოკლებით) დაჭერილი შენობებისა და ნაკვეთების წინ მდებარე ტროტუარების მშენებლობა და რემონტი წარმოებს ამ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხარჯით.

4. საბინაო საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციისა და სახლის ტრესტების სახლების, აგრეთვე მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მშრომ-

ლების კუთვნილი სახლების წინ მდებარე ტროტუარების მშენებლობას და რემონტს აწარმოებენ კომუნალური მეურნეობის ორგანოები, და ეს მშენებლობა და რემონტი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯით, აღნიშნული ორგანიზაციებისა და პირების მონაწილეობით ხარჯებში ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება წელიწადში: ტფილისისათვის—20 კაპიკს, ქუთაისისა, ფოთისა, ბათომისა, სოხუმისა და ცხინვალისათვის—15 კაპიკს, ხოლო დანარჩენი ქალაქებისა და დაბებისათვის—10 კაპიკს იმ საცხოვრებელი ფართობის 1 კვადრატულ მეტრზე, რაც ამ ორგანიზაციებისა და პირების გამგებლობაშია საცხოვრებელ სახლებში.

5. მიწისზედა ან მიწისქვეშა ნაგებობათა მოწყობას ან რემონტთან დაკავშირებით გათხრილი ქვაფენილებისა და ტროტუარების აღსადგენ სამუშაოებს აწარმოებენ კომუნალური მეურნეობის ორგანოები აღნიშნული სამუშაოების მწარმოებელ დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა ხარჯით საქალაქო საბჭოების მიერ დადგენილ ვადაზე, რაც უზრუნველჰყოფს ტრანსპორტისა და მოსიარულეთა ნორმალური მოძრაობის დაუყოვნებელ აღდგენას.

6. არსებული ქვაფენილებისა და ტროტუარების მშენებლობის და რემონტის გეგმას აწესებენ საქალაქო და სარაიონო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ყოველწლიურად წინდაწინვე.

ამ სამუშაოების ღირებულებას განსაზღვრავენ ადგილობრივი კომუნალური ორგანოები და დაამტკიცებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მუშაძალის, მასალისა და ტრანსპორტისათვის დადგენილი ნორმებისა და ფასების მიხედვით.

შენიშვნა. ახალი ქუჩის გაყვანა დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შენობების მდებარეობის ადგილამდე, რომლებიც დამტკიცებული საქალაქო საზღვრის შიგნითაა ისეთ ტერიტორიაზე, რაც მოცული არ არის გზა-ქუჩების ქსელით, უკეთუ უწყებულ წელს ქუჩების გაყვანა გათვალისწინებული არ არის საქალაქო გზათა მშენებლობის გეგმით, შეიძლება მოხდეს ამ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოთხოვნით და მათივე ხარჯით.

7. ქვაფენილებისა და ტროტუარების მშენებლობისა და რემონტისათვის შემოსული თანხები ჩაირიცხება ადგილობრივი საბჭოების სპეციალურ სახსარში; ამასთანავე, ამა დადგენილებით გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსება წარმოებს კომუნალური ბანკების მეშვეობით სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებისათვის დადგენილი საერთო წესის მიხედვით.

8. უკეთუ ის დაწესებულებანი, საწარმონი და პირნი, რომელნიც ამა დადგენილების ძალით მოვალენი არიან გაიღონ გადასახდელი ქვაფენილებისა და ტროტუარების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებისათვის, არ შეიტანენ ამ გადასახდელს, კომუნალური მეურნეობის ორგანოები გადაახდევინებენ მათ საათანადო თანხებს სააღსრულებო წარწერის წესით, რა წარწერაც გაიცემა სანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარო ორგანოების მიერ, 0,2%-ის საურავის დარიცხვით, თვითეული ვადა-გადაცილებული დღისათვის.

9. ქვაფენილებისა და ტროტუარების მშენებლობისათვის შეგროვილი თანხები, რაც დახარჯულ არ იქნება სათანადო წელს, უნდა დაებრუნოს გადამხდელთ იმავე წელს, ან, მათთან შეთანხმებით, შეიძლება ჩაეთვალოთ ამ მიზნით გადასახდელთა ანგარიშში შემდეგ წელს.

10. ახალ შენობათა მშენებლობის დროს მათ წინ ტროტუარების დაგება ეკისრება იმ დაწესებულებათ, საწარმოთ, ორგანიზაციათ და პირთ, რომელნიც აგებენ ამ შენობებს.

11. ქვაფენილებისა და ტროტუარების ტექნიკურ მეთვალყურეობას და წვრილ რემონტს, რაც არ აღემატება მათი ძირითადი ღირებულების 2 პროცენტს, ეწევიან შენობათა მფლობელნი.

12. მიენდოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ერთი თვის ვადაზე, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

13. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც სარგებლობს მიწის ნაკვეთებს და შენობებს საკუთრების, აღნაგობის, უვადო სარგებლობისა და იჯარის უფლებით შეიტანოს დაწყებული 1936 წლიდან, თავის ხარჯთაღრიცხვებსა და საფინანსო გეგმებში ხარჯები ამა დადგენილებით დაკისრებულ მოვალეობათა მიხედვით, ხოლო სათანადო ადგილობრივმა საბჭოებმა დაამტკიცონ მე-6 მუხლით გათვალისწინებული გეგმები არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

14. დადგენილება ესე შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1936 წლიდან.

15. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 13-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება „ზოგიერთ ქალაქ-ადგილას ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლის წესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 № ი, მუხ. 176).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარეს მ. ა. თ. ულენტი.

საკ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. ვ. ჭაშაკიძე.

1935 აგვისტოს 2. № 67/1015.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დაზღვევა

144. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 2-ის დადგენილებისა „სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 41, მუხ. 347) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 8-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1936 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192; 1935 წ. № 15, მუხ. 94) მოქმედება განგრძობილ იქნას 1936 წლისთვის. ამასთანავე, დადგენილებაში შეტანილ იქნას ქვემო მუხლებში აღნიშნული ცვლილებანი.

2. შემოღებულ იქნას 1936 წელს სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესების (გარდა ბოსტნებისა, ბაღჩებისა და სახმილოებისა), აგრეთვე ბაღების და ვენახების მოსავლის დაზღვევა წყალდიდობის, დაძვრის, ჩახარშვის და დალპობისაგან—იმ სადაზღვეო საზღაურის ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვისაგან დაზღვევისათვის (ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 დანართი), და შემდეგი სადაზღვეო ტარიფებით (სადაზღვეო საზღაურის 100 მანეთზე): კოლმეურნეობებისა და პირველადი კოოპერატივებისათვის—2 მან. 10 კაპ., კოლმეურნეებისათვის—3 მან. 90 კაპ. და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის—5 მან.

აქ აღნიშნული სახით დაზღვევა შემოღებულ იქნას შემდეგ რაიონებში: დუშეთის (ბარისახოს, ბაცალიგოს, არხიტის და შატილის სასოფლო საბჭოების გარდა), თიანეთის (სოფლებ ბაჩალის და ხაშალის გარდა), ლაგოდეხის, საგარეჯოს, გორის, ხაშურის, ჯუღელის, ჩხარის, ქუთაისის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ვანის, სამტრედიის, ხონის, აბაშის, მარტვილის, მიხა ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ფოთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის რაიონებში; აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ჯავისა და ლენინგორის რაიონებში.

3. 1 წლიდან 2 წლამდე მოზარდი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევისათვის არსებული ცალკე სადაზღვეო საზღაურის ნორმა 1936 წელს გაუქმებულ იქნას, და ამ ასაკის მოზარდი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისათვის შემოღებულ იქნას სადაზღვეო საზღაური იმ ნორმით, რაც დაწესებულია სათანადო სახის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევისათვის 2 წლიდან (ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 დანართი).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 10/15. № 1072.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 187 და 194 №-ში 1935 წ. აგვისტოს 12 და 21.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 25 მაისის 673 №-ის დადგენილებით.

145. დებულება

ტფილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ტფილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

2. ინსტიტუტს მიზნად აქვს მოამზადოს ექიმ-სტომატოლოგების კადრები, შეიმუშაოს სამეცნიერო საკითხები სტომატოლოგიის სფეროში და მოამზადოს ასპირანტები სამასწავლებლო და სამეცნიერო-საკვლევო საქმიანობისათვის სტომატოლოგიის სფეროში.

3. ინსტიტუტი, სამედიცინო და საბიოლოგიო მეცნიერებათა თანადროული თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე, იძიებს სწავლების, მკურნალობის, პროფილაქტიკის და სამეცნიერო გამოკვლევის ახალ მეთოდებს სტომატოლოგიის სფეროში და ავრცელებს თავის მიღწევათა გავლენას თავის პრაქტიკულ საქმიანობაზე.

4. ინსტიტუტი ამყარებს და განაგრძობს კავშირს სხვა სტომატოლოგიურ ინსტიტუტებთან და საზოგადოებებთან და იწვევს კონფერინციებსა და თათბირებს არსებული წესისამებრ.

5. ინსტიტუტს უფლება აქვს გამოსცეს თავისი ლაბორატორიებისა და
1 კლინიკების სამეცნიერო ნაშრომები.

6. ინსტიტუტი თავისი საქმიანობის წლიურ და საპერსპექტივო გეგმებს წარუდგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

7. ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვა ჩაირთვება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საერთო ხარჯთაღრიცხვაში.

8. ინსტიტუტს აქვს იურიდიული პირის უფლება.

9. ინსტიტუტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის და თავისი სახელწოდების გამოსახულებით.

II. ტფილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის სტურქტურა და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევა.

10. ინსტიტუტის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ჰნიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

ინსტიტუტის დირექტორთან განწესებულ არიან მისი მოადგილენი სასწავლო და საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილთათვის, რომლებსაც ჰნიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.

11. ინსტიტუტის დირექტორი ახორციელებს მთლად ინსტიტუტის მუშაობის ხელმძღვანელობას, ამტკიცებს ინსტიტუტის ყველა ორგანოს გადაწყვეტილებას და პასუხს აგებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინაშე ინსტიტუტის გეგმების ორგანიზაციისა და აღსრულებისათვის.

12. დირექტორთან არსებობს ინსტიტუტის საბჭო, რომლის შედგენილობაშიაც, დირექტორის გარდა, როგორც მისი თავმჯდომარისა, შედიან დირექტორის მოადგილენი, დეკანი, კათედრების და ლაბორატორიების გამგენი და სამასწავლებლო შედგენილობის წარმომადგენელნი, რომელნიც გამოიყოფიან საბჭოს ხაზით სამეცნიერო მომუშავეთაგან.

13. ინსტიტუტის საბჭო განიხილავს ინსტიტუტის სამუშაოთა საერთო გეგმას, მოისმენს საანგარიშო მოხსენებებს ინსტიტუტისა და მის განყოფილებათა მუშაობის შესახებ, განაბჭობს ახალ განყოფილებათა გახსნის საკითხებს და დაამტკიცებს საკვალიფიკაციო, სამეთოდიკო და სხვა კომისიების გადაწყვეტილებათ.

14. ინსტიტუტის დირექტორთან არსებობს, მისი თავმჯდომარეობით, საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შედგენილობასაც ჰნიშნავს ინსტიტუტის დირექტორი. საკვალიფიკაციო კომისია განიხილავს ინსტიტუტის კათედრების პროფესორის, დოცენტისა და ასისტენტის სამეცნიერო წოდების მაძიებელ პირთა განცხადებებსა და ნაშრომებს და თავის დასკვნებს წარუდგენს განსახილველად სამეცნიერო საბჭოს და დირექტორს.

კომისია მუშაობს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი.

15. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილისათვის ხელმძღვანელობას უწევს მთლად ინსტიტუტის სასწავლო საწარმოო და სამეცნიერო საქმიანობას, ამუშავებს სასწავლო გეგმებს და სამეცნიერო სამუშაოთა გეგმებს, კონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლს უწევს ამ გეგმების განხორციელებას დანიშნულ ვადებზე, ამტკიცებს მეცადინეობის განრიგებას, სწყვეტს პროფესორებისა, მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ აღძრულ ყველა საკითხს სასწავლო-საწარმოო და სამეცნიერო სფეროში და ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ასპირანტების, ორდინატორებისა და ინტერნების მუშაობისათვის.

დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილისათვის მუშაობს მჭიდრო კონტაქტით დირექტორთან და კათედრების გამგეებთან.

16. დირექტორის მოადგილე საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილისათვის ექვემდებარება უშუალოდ დირექტორს; იგი ახორციელებს მთლად ინსტიტუტის საადმინისტრაციო-სამეურნეო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

17. ინსტიტუტის მდივანი ექვემდებარება დირექტორს, ხელმძღვანელობას უწევს საერთო და სასტუდენტო კანცელარიის მუშაობას საამისოდ შემუშავებული დებულებების შესაბამისად და პასუხს აგებს ამ მუშაობისათვის.

18. ინსტიტუტი აარსებს კათედრებს, ლაბორატორიებს, კლინიკებს და სხვა დამხმარე დაწესებულებებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი სასწავლო გეგმის თანახმად; ეს ორგანიზაციები ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სპეციალური დებულების თანახმად, რომლებსაც შეადგენს სამეცნიერო საბჭო და დაამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

19. კათედრის სათავეში დგას პროფესორი ან დოცენტი, რომელიც მიიწვევა კონკურსით; კონკურსი სწარმოებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

20. კათედრის გამგე მოაწყობს სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო პროცესს თავისი კათედრისათვის და პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე კათედრის საქმის დაყენებისათვის.

21. ინსტიტუტის სამეცნიერო და საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალის შტატები დამტკიცდება საერთო საფუძვლების მიხედვით.

III. სტუდენტების მიღება და პედაგოგიკური და სამეცნიერო-საკვლევო კადრების მომზადება სტომატოლოგიის სფეროში.

22. ინსტიტუტში მიიღებიან სრული საშუალო სკოლადამთავრებული პირნი, დაწესებული მისაღები გამოცდების შემდეგ.

23. ინსტიტუტის სპეციალური დისციპლინების მიხედვით მოეწყობა ასპირანტების მომზადება პედაგოგიკური და სამეცნიერო-სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებისათვის არსებულ საერთო საფუძვლებზე.

24. ასპირანტების რიცხვს, მათ განაწილებას სპეციალობის მიხედვით და კანდიდატების მიღების წესს და პირობებს განსაზღვრავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ინსტიტუტის კურსდამთავრებულ პირთა უფლებანი.

25. ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი, სახელმწიფო გამომცდელ კომისიაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მიიღებენ ექიმ-სტომატოლოგის წოდებას და მათ აქვთ ყბა-სახის, კბილებისა და პირის ღრუს დაავადებათა მკურნალობის უფლება.

26. უფლებრივი მდგომარეობისა და სამუშაო ხელფასის მხრით ექიმი-სტომატოლოგები ეთანაბრებიან სამედიცინო ფაკულტეტდამთავრებულ ექიმებს.

27. იმ ექიმ-სტომატოლოგს, რომელმაც იმუშავა არა ნაკლებ სამი წლისა ყბა-სახის ქირურგიის სფეროში ინსტიტუტის სტომატოლოგიურ კლინიკასთან ორდინატორად ან ინტერნად, სათანადო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, შეუძლია მიიღოს ყბა-სახის ქირურგის სპეციალისტის წოდება.

28. იმ ექიმ-სტომატოლოგს, რომელიც შეეფერება „სამეცნიერო ხარისხთა და წოდებათა შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 13-ის დადგენილებაში აღნიშნულ მოთხოვნათ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-3 №-ი, მუხ. 30), შეუძლია მიიღოს მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო წოდება თავის სპეციალობაში.

ჯანმრთელობის დაცვა

146. დადგენილება ც.ა.კ.

პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 18, მუხ. 116) მე-3 მუხლს დაემატოს „ო“ და „პ“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[3. პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შედგენილობაში შედის შემდეგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი:.....]

„ო) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა;

პ) ტფილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმისა“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. თ. ყლენტი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. ვ. ვაშაკიძე.

1935 წ. აგვისტოს 2. № 66.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

147. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის 1934 წ. იანვრის 14-ის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-4 №-ი, მუხ. 50) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „ა" პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები არიან:....]

„ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი—განყოფილებით ქ. ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრულ დავათა განსახილველად".

2. მე-4 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი წინადადება:

„სახელმწიფო არბიტრაჟის შედგენილობაში გამოიყოფიან სპეციალური არბიტრები კოლექტიური მეურნეობების ქონებრივ დავათა განსახილველად, როგორც ერთმანეთ შორის, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან".

3. მე-6 მუხლს დაემატოს „თ" პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[სახელმწიფო არბიტრაჟის წესით არ უნდა იქნას განხილული:.....]

„თ) კოლექტიური მეურნეობების დავა ერთმანერთ შორის და კოლექტიური მეურნეობების დავა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რაც გამომდინარეობს ხელშეკრულებებიდან და სხვა ქონებრივი ურთიერთობიდან, 5.000 მანეთამდე—თანხართვით".

4. მე-11 მუხლს დაემატოს მეექვსე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„უკეთუ განსახილველია კოლექტიური მეურნეობების დავა, როგორც ერთმანეთ შორის, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, არბიტრები აუცილებლად უნდა რაიონებში წავიდენ".

5. დაემატოს დებულებას 25[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

„25[1]. სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს შეცვალოს ან გააუქმოს მისი არბიტრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი კოლექტიური მეურნეობების დავაზე, როგორც ერთმანეთ შორის, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან".

სრ. საქ ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ულენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. აგვისტოს 2. № 64/1016.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ „კომუნისტის" 185 №-ში 1935 წ. აგვისტოს 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

148. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების 1-ლ და სხვა მუხლებში ცვლილების შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებით წესებში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-4 №-ი, მუხ. 54) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„წინასწარ გამოკვლევას სისხლის სამართლის საქმეებზე აწარმოებენ: 1) გამომძიებლები, 2) მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოები, 3) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროებისა და სხვა სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოების ორგანოები და სპეციალური ინსპექციების ორგანოები—მათი გამგებლობის საქმეებზე და 4) ხელისუფლების სხვა ორგანოები, რომელთაც სპეციალური კანონებით მინიჭებული აქვთ დანაშაულის გამოკვლევის უფლება“.

2. მე 2 მუხლში (შენიშვნითურთ), მე-6 მუხლში (შენიშვნა), მე-16 მუხლში, 49 მუხლში (შენიშვნა), 54 მუხლში (შენიშვნა) და 59 მუხლში (შენიშვნა) სიტყვები: „სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო“ შეიცვალოს სიტყვებად: „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველო“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ჟღენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. აგვისტოს 2. № 65/1017.

ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 49. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1½ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 14/VIII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/X; ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. № 8704 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა შეკვ. № 1235